გაუმარჯოს საბჭოთა მშენებლებს — ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-12 წელი

№ 66 (976) | კვირა, 12 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 30 კაპ.



## საინფორმაციო ცნობა

6-8 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ პ. ვ. კოვანოვი.

პლენუმმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაამტკიცა ამხ. მ. პ. გიორგაძე, გაათავისუფლა რა იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობიდან.

პლენუმმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი, სხვა სამუშაოზე მისი გადასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია ამხ. გ. ა. გეგეშიძე.

## კონკურსი ფესტივალის ნიშნების ესკიზზე

საქართველოს ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს კონკურსს ნიშნების ესკიზზე: „ფესტივალის მონაწილე“, „ფესტივალის ლაურეატი“, „ფესტივალის ჩემპიონი“.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესიულ და თვითმოქმედ მხატვრებს. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი პრემიები შემდეგი ოდენობით:

ნიშნისათვის „ფესტივალის მონაწილე“ ერთი პრემია — 1000 მან.
ნიშნისათვის „ფესტივალის ლაურეატი“ ერთი პრემია — 1000 მან.
ნიშნისათვის „ფესტივალის ჩემპიონი“ ერთი პრემია — 1000 მან.

ნიშნების ესკიზები კონკურსის ჟიურის უნდა გაეგზავნოს 1956 წლის 10 სექტემბრამდე შემდეგი მისამართით: თბილისი, მაჩაბლის 11, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, „ფესტივალის ნიშნების კონკურსისათვის“.

# ძვირფასი პროფესიის ადამიანები

დახედეთ ჩვენი სამშობლოს რუკას, რა სწრაფად იცვლება იგი!.. იქ, სადაც ოდესღაც გაუვალი ჯაგნარი ან ურწყავი მინდვრები იყო, ახლა ფართო პროსპექტებით, მრავალსართულიანი კომფორტაბელური საცხოვრებელი სახლებით, ლამაზად გაფორმებული კულტურის სასახლეებით, სტადიონებით დამშვენებული ქალაქები წამოჭიმულა. საბჭოთა ადამიანებმა დაიმორჩილეს თავაწყვეტილი, დაუოკებელი მდინარეები და მშრომელთა კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენეს. დღითიდღე სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება საბჭოთა ქალაქები, დაბები, სოფლები...

ვინ ქმნის ამ მონუმენტურ შენობებს, ქარხნების, ფაბრიკების კორპუსებს, არხებს, ვისი მარჯვენითაა ამოკვეთილი ამ დიდებულ შენობათა დამამშვენებელი ჩუქურთმები? მშენებლების. აი ამ ძვირფასი პროფესიის ადამიანების პატივსაცემად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით წელს პირველად აღინიშნება მშენებლის დღე.

მშენებლობის კულტურა და მშენებელთა პროფესიული ოსტატობა საბჭოთა კავშირში გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად! — აი მშენებელთა დევიზი. ისინი, განუხრელად სრულყოფენ რა მშენებლობის კულტურას, წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონს დავასახელებთ, რომელიც სულ ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ. ეს შესანიშნავი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სპორტული კომბინატი აგებულ იქნა ერთ წელიწადსა და რამდენიმე თვეში. ეს საბჭოთა მშენებლების დიდი გამარჯვებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მოსკოვის მშენებელთა კრებაზე, რომელიც ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მთავარ სარბიელზე მოეწყო, თქვა: „საბჭოთა ახალგაზრდებმა, ჩვენმა შესანიშნავმა სპორტსმენებმა კარგი საჩუქარი მიიღეს, ახლა სამშობლო ჩვენი სპორტსმენებისაგან მოელის უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებებსა და მიღწევებს“.

„მე გაკვირვებული ვარ, — განაცხადა მოსკოვში ხალხთა სპარტაკიადაზე სტუმრად მყოფმა ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ვრაცლავ ჩაპეკმა, როდესაც გულდასმით დაათვალიერა ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალური სტადიონი, — ნუთუ ყველაფერი ეს თოთხმეტ თვეში აშენდა? თუ ეს ასეა, მაშინ ვაშა მოსკოველ მშენებლებს და მოსკოვის კომკავშირს, რომელმაც, როგორც გავიგე, დიდი წვლილი შეიტანა ამ გიგანტის მშენებლობაში“.

ჩვენს საყვარელ სოციალისტურ სამშობლოში ტექნიკა და კულტურა განუხრელად ვითარდება, საბჭოთა მშენებლები არა ერთ ასეთ სპორტულ კომბინატს ააგებენ კიდევ და არა ერთხელ გაახარებენ ახალგაზრდებს, სპორტსმენებს.

დიდი რუსი ხალხისა და მოძმე ხალხების ძმური დახმარებით საფუძვლიანად იცვალა სახე ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებმა და სოფლებმა. ეს იგრძნობა მშენებლობის ყველა დარგში და მათ შორის სპორტული ბაზების მშენებლობის დარგშიც. საქართველოს სპორტული ბაზების ქსელს მრავალი ახალი ობიექტი შეემატა, ბევრიც კიდევ ახლო მომავალში აიგება. მათ რიცხვში აღსანიშნავია „სპარტაკის“ სადემონსტრაციო დარბაზი საბურთალოზე, რომელიც 10.000-მდე კაცს დაიტევს, დიღომში აშენდება სპორტული კომბინატი ველოტრეკით, საცურაო აუზით, კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის მოედნებით. უკვე შენდება და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა საცურაო აუზი კიროვის სახელობის რაიონში და ტანვარჯიშის დარბაზი კალინინის სახელობის რაიონში. აშენდა კალათბურთის მოედანი ქუთაისში, აქვე შენდება სტადიონი.

მაგრამ მშენებლობის საქმეში ჩვენ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ზოგიერგან სპორტული ბაზების მშენებლობა დაუშვებლად ჭიანურდება (გორი, რუსთავი), ზოგიერგან კი აშენებულს ვერ უვლიან ჯეროვნად და პარტახდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მშენებელთა შორის სათანადო სიმაღლეზე არ დგას მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. სპორტული საზოგადოება „მშენებელი“ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს ამ მნიშვნელოვან საქმეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა და მშენებელთა შემოქმედებით მეგობრობას. მაგალითად, საბურთალოს სადემონსტრაციო დარბაზის პროექტის ავტორებმა დარბაზის მაკეტი გააცნეს სპორტსმენებს, რომლებმაც მეტად ძვირფასი შენიშვნები მისცეს ინჟინერ-მშენებლებს. მუშაობის ასეთი მეთოდით ჩვენ თავიდან ავიცილებთ ყოველგვარ გაუგებრობას, თანხების გადახარჯვას, სამშენებლო ობიექტით კმაყოფილი იქნებიან როგორც სპორტსმენები, ისე მაყურებლები.

ჩვენ, ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს გვსურს, რომ ყოველი ახალი სპორტული ობიექტი იყოს სანიმუშო, ისეთი, როგორიც სოციალისტურ სამშობლოს შეეფერება, ისეთი, როგორიც კომუნისტური საზოგადოების მშენებლებს შეეფერებათ.

საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს მშენებლის დღეს, მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს იმათ სახელებს, რომელთა მარჯვენამ დაამშვენა ჩვენი სამშობლო, იმათ სახელებს, რომლებიც საბჭოთა მშენებელთა მრავალათასიანი არმიის მოწინავეთა რიგებში დგანან.

რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები ისევე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელები და სპორტსმენები, მიესალმებიან საბჭოთა მშენებლებს, ულოცავენ მათ დღესასწაულს, უსურვებენ ახალ წარმატებებს შრომაში, მშენებლობის მოწინავე მეთოდების ათვისებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს მშენებლებს — ძვირფასი პროფესიის ადამიანებს!



სურათებზე: (ზევით) ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალური სტადიონის მთავარი სარბიელი. (ქვევით) თბილისის სადემონსტრაციო დარბაზის მაკეტი.

## ავტობუსით ევროპასა და აზიაში

შვეციაში საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა კონგრესს ესწრებოდა 14 დელეგატი ინდოეთიდან. უკან დაბრუნებისას მათ გადაწყვიტეს ავტობუს „კომეტათი“ მოევლოთ ევროპის ყველა ქვეყანა, საკუთარი თვალით ენახათ როგორ მუშაობენ და ცხოვრობენ მათი კოლეგები. პარიზის, ბერლინისა და ვარშავის გავლით ინდოელი ავტომობილისტები ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში. მოსკოვის 1-ლ საავტობუსო პარკში ისინი გაეცნენ მძღოლთა მომზადების სისტემას და საბჭოთა ავტოტრანსპორტის მუშაკების ცხოვრებას.

მოსკოვიდან ავტობუსი „კომეტა“ გაემართა ალმა-ათისაკენ. იგი გაჩერდა ხარკოვში, როსტოვში, კრასნოდარში, ტუაფსეში, სოჭში, სოხუმში, ქუთაისში, თბილისში, ერევანში, ნახჩევანში. აქედან ირანის, ავღანეთისა და პაკისტანის გავლით ინდოეთის ავტოტრანსპორტის მუშაკები სამშობლოში დაბრუნდებიან.

# მიმდინარეობს ხალხთა სპარტაკიადა

საქართველოს სპორტული დელეგაცია სპარტაკიადის გახსნის საზეიმო მარშზე.





მონაწილეთა პარადზე საქართველოს ლერბი მოჰქონდათ მსოფლიო ჩემპიონებს გ. კარტოზიას, ვ. ბალავაძესა და რ. ჩიმიშკიანს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ორი ცდა უშედეგოდ

როგორც ცნობილია, ძალოსანთა შეჯიბრება არა მარტო რესპუბლიკური რეკორდებით, მსოფლიო რეკორდებითაც აღინიშნა. მოსკოველმა ევგენი მინაევმა აჰმა რა 114 კილოგრამი, მოხსნა ვიქტორ კორეის მსოფლიო რეკორდი. მსუბუქი წონის ძალოსანმა რეილ ხაბუტდინოვმაც ისახელა თავი. მან აჰმა რა 123 კილოგრამი, ახალი მსოფლიო რეკორდით გაახარა სამშობლო.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რასაკვირველია აინტერესებთ თუ როგორ გამოვიდა ამ შეჯიბრებაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თბილისელი რ. ჩიმიშკიანი. ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონის ოქროს მედლისათვის იბრძოდა სამი ძალოსანი: ძველი მეტოქეები უდოდოვი და ჩიმიშკიანი, აგრეთვე ახალგაზრდა ტარელკინი.

უდოდოვმა 105 კილოგრამი აჰმა და ამდენივე აიტაცა. ჩიმიშკიანმა აჰმა 102,5 კილოგრამი, ხოლო ატაცში აჩვენა 100 კილოგრამი. ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა აკვრას. თუ ჩიმიშკიანი 137,5 კილოგრამს აჰკრავდა, მაშინ იგი გაუთანაბრდებოდა უდოდოვს. ამიტომ მან მსაჯებს თხოვა 137,5 კილოგრამიანი შტანგის მომზადება. დარბაზი გაინაბა — ჩემპიონის ბედი წყდებოდა. სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა ჩიმიშკიანი სიმძიმისაკენ, აჰკრა კიდეც იგი, მაგრამ... არა მთლიანად — შტანგა ღლარუნით დაეშვა ფიცარნაგზე. კიდევ იყო ერთი ცდა. კვლავ მიეიდა იგი სიმძიმესთან, მაგრამ ამაოდ. მსოფლიო ჩემპიონი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

საქართველოს არც სხვა წონის ძალოსნებს ხვდა წარმატება. ფარაჯიანმა 0 შეფასება მიიღო. ასეთივე ბედი ეწია წერალოვს, მხოლოდ საშუალო წონის ძალოსანმა შივცმა გამოიჩინა თავი. სამჭიდის ჯამში დააგროვა რა 380 კილოგრამი, გამოვიდა მე-8 ადგილზე და ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

მძიმე წონაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იური ქართველიშვილი. ახალგაზრდა ძალოსანმა სამჭიდში მოაგროვა 425 კილოგრამი და მეექვსე ადგილი დაიკავა.

გუნდურ პირველ ადგილზეა მოსკოვი, მეცხრეზე — საქართველო.

## არ ჩანდა გამარჯვებისადმი სწრაფვა

საქართველოს კალათბურთელმა ქალებმა ესტონეთთან წაგების შემდეგ დაამარცხეს მოლდავეთი—77:51, უზბეკეთი — 63:47 და ფინალში გასასვლელ გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ რსფსრ-ს გუნდს.

შეხვედრის დასაწყისში ანგარიში წაიყვანეს რსფსრ-ს კალათბურთელებმა. მალე საქართველოს სპორტსმენებმა გაათანაბრეს თამაში, წინაც გაიჭრნენ და პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ—28:25 დაამთავრეს.

მეორე ნახევარში გნიოტოვას, ასიტაშვილის, გრიგორაშვილის, ქველიძის, გრიგორიანის შესანიშნავი თამაშის შედეგად არა მარტო შენარჩუნებულ იქნა უპირატესობა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა იგი. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 38:33 ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელთა სასარგებლოდ. მათ მოიპოვეს 1-6 ადგილისათვის ბრძოლის უფლება.

ვაჟ კალათბურთელთა გუნდმა, რომელზედაც დიდ იმედებს ვამყარებდით, გადამწყვეტი მატჩი წააგო რსფსრ-ს გუნდთან. საქართველოს ნაკრები თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: ქორქია, მინაშვილი, იწკირველი, კილაძე, გვანცელაძე. როგორც ვხედავთ შემადგენლობა ძირითადია. ამის მიუხედავად, ორი ტაიმის განმავლობაში ანგარიში არცერთხელ არ ყოფილა ჩვენს სასარგებლოდ. პირველი ტაიმი წააგეს 21:31. თამაშის მეორე ნახევარში მდგომარეობის გამოსწორების ყველა ცდამ უქმად ჩაიარა. ხშირად იკარგებოდა გადაცემები, თამაშში არ ჩანდა მიზანდასახულობა, ჯარიმებს ვერ იყენებდნენ, და რაც მთავარია, იშვიათად ესროდნენ კალათში. ამრიგად, საქართველოს გუნდმა, წააგო რა შეხვედრა რსფსრ-სთან — 54:58, დაჰკარგა ფინალში გასვლის უფლება და ახლა მე-7 ადგილის მოპოვებისათვის უნდა იბრძოლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით კარგად თამაშობს ყაზახეთის გუნდი. მან დაამარცხა ლენინგრადი, სადაც რამდენიმე მოთამაშე საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან მონაწილეობს. ყაზახეთის გუნდის გიგანტმა ვასილი ახტაევმა და ალაჩაჩიანმა, რომელიც წინად სომხეთის ნაკრებში თამაშობდა, თავგზა დაუბნიეს მოწინააღმდეგეს. ლენინგრადელებმა, როდესაც ალაჩაჩიანი ჩაკეტეს, ახტაევმა იუხტომლად ჩაალაგა ბურთები კალათში, ხოლო, როდესაც ახტაევის ჩაკეტვა მოინდომეს — ალაჩაჩიანი შორიდან და ახლოდან სროლებით ზრდიდა ანგარიშს.

ყაზახეთის ვაჟთა გუნდმა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მათი „მსხვერპლი" გახდა მოსკოვის ნაკრები. ყაზახეთის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 41:37.

უზბეკეთმა მოუგო რსფსრ-ს — 73:68, უკრაინამ — ესტონეთს — 67:63.

## შეჯიბრებაში ჩაებნენ მძლეოსნები

საქართველოს მძლეოსნები, რომლებიც ლესელიძეში საწვრთნელ შეკრებაზე კარგ შედეგებს აჩვენებდნენ, ახლა მეტად მკრთალად გამოიყურებიან. ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის ყოველთვის ორი სპორტსმენი — ნ. პონომარიოვა და ნ. დუმბაძე ეცილებოდნენ პირველ ადგილს ერთმანეთს. მაგრამ ასე არ მოხდა ახლა. პონომარიოვას ოდნავი წინააღმდეგობა ვერ გაუწია დუმბაძემ. პირველი ადგილი პონომარიოვას ხვდა (შედეგი 51.88). დუმბაძე მე-13 ადგილზე გამოვიდა, მისი შედეგი 42,74 მეტრი ჩათვლაშიც კი არ შევიდა. უფრო დაბალი შედეგი აჩვენა ლ. სესაძემ.

სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა რსფსრ-ს წარმომადგენელმა გ. ბისტროვამ, რომელიც 6 მეტრსა და 3 სანტიმეტრზე გადახტა. ამ სახეობაში მეორე ადგილზეა მსოფლიო რეკორდსმენი გ. პოპოვა-ვინოგრადოვა, მესამე ადგილზე — თბილისელი ნ. დვალიშვილი (5 მეტრი და 97 სანტიმეტრი). აღსანიშნავია, რომ მესამე ცდის დროს იგი 6 მეტრსა და 15 სანტიმეტრზე გადახტა, მაგრამ ასარეკ ფიცარზე ფეხის არასწორად დაბიჯების გამო შედეგი არ ჩაეთვალა.

სიმაღლეზე ხტომაში ფინალში გასვლელთა შორის ყველაზე კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ მოსკოველ კაშკაროვსა და თბილისელ შავლაყაძეს — 195 სმ. ფინალში შავლაყაძემ ნახევარფინალში აღებულ სიმაღლეზე მეტი ვერ დაძლია, ხოლო მოსკოველმა პოლიაკოვმა, კაშკაროვმა და უკრაინელმა სიტკინმა ორი მეტრი გადალახეს. პირველი ადგილი ხვდა პოლიაკოვს, რომელსაც 195 სანტიმეტრის აღებისას ნაკლები ცდა ჰქონდა. შავლაყაძემ დაიკავა მე-6 ადგილი.

ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა მძლეოსანთა შეჯიბრება 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. გამარჯვებულმა გ. კლიმოვმა ეს მანძილი 4:05.12,2-ში დაფარა. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა გ. პოპოვა-ვინოგრადოვა, რომელმაც დისტანცია 11,5-ში გაირბინა. ეს შედეგი ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდია.

## ბ. ნიკიტინი — ჩემპიონი

უკრაინასთან მატჩის ფრედ (4:4) დამთავრების შემდეგ საქართველოს წყალბურთელებმა მოუგეს ლიტვას — 11:0, ყაზახეთს — 12:0 და თა-

(დასასრული მე-3 გვერდზე)



გ. სხირტლაძე



მ. ცალქალამანიძე

## ოქროს მედალოსნები

10 აგვისტოს დამთავრდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც სიურპრიზებით აღინიშნა. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას მსოფლიოს ჩემპიონ ვახტანგ ბალავაძეზე, რომელიც დამარცხდა მოსკოველ აგაბეკიანთან. ბრძოლა ასე წარიმართა: როგორც მოსალოდნელი იყო ბალავაძემ პირველ ექვს წუთში რამდენიმე ქულა დააგროვა, შემდეგ სათანადოდ ვერ შეაფასა მოწინააღმდეგე და მე-13 წუთზე მოადუნა სიფხიზლე და ორივე ბეჭით აღმოჩნდა ხალიჩაზე.

სპორტის ოსტატმა მირიან ცალქალამანიძემ მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა. ნახევარფინალში სომხეთის წარმომადგენელ მკრტჩიანთან სუფთა გამარჯვების შემდეგ შეხვდა ესტონელ სოლოვიოვს. ფინალშიც გამოჩნდა ცალქალამანიძის მაღალი ტექნიკა. მან შეხვედრა მოიგო და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

გიორგი სხირტლაძემ შეჯიბრების პირველ დღეს მცირე უპირატესობით წააგო აბაევთან (რსფსრ), მაგრამ სპორტსმენი ამან არ შეაკრთო. დამარცხებიდან საჭირო დასკვნები გააკეთა და მშვიდად შეუდგა ბრძოლას პირველი ადგილისათვის. სხირტლაძემ დასახულ მიზანს მიაღწია. ნახევარფინალში დაამარცხა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ესტონელი საარი და ფინალში ლენინგრადელი პრეობრაჟენსკი. გიორგი სხირტლაძეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი და სპარტაკიადაში გამარჯვებულის სიგელი გადაეცა.

სხვა წონით კატეგორიებიდან აღსანიშნავია მძიმე წონის ახალგაზრდა მოჭიდავე ბათლიძის წარმატება, რომელმაც ფინალში წააგო საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ჩემპიონთან ა. მეკოკიშვილთან და მესამე ადგილზე გავიდა. ს. გაბარაევიც მესამე ადგილზეა.

გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში მოიპოვა ლენინგრადის კოლექტივმა. მეორე ადგილზეა საქართველო.



ვის ქვეჯგუფს ლიდერობენ. საქართველოსა და უკრაინის გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს, სამაგიეროდ ბურთების შეფარდება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს უკეთესი აქვთ.

* * *

ცურვაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები დამაკმაყოფილებლად გამოდიან. ამანათცურვაში 4×200 თავისუფალი სტილით ნიკიტინმა, გიორგაძემ, რომანოვმა და ტულუპოვმა მე-6 ადგილი დაიკავეს — 9.17,3. პირველობა ლენინგრადელებს ხვდათ — 8.53,8. საქართველოს წარმომადგენელმა ნიკიტინმა თავისი ეტაპი შესანიშნავ დროში გაცურა — 2.09,0. ეს საუკეთესო დროა საბჭოთა კავშირში (50 მეტრიან აუზში), სპორტის ოსტატის ნორმას აღემატება და რესპუბლიკური რეკორდიცაა. თბილისელმა რ. არკადიევამ 100 მეტრი ნებისმიერი სტილით 1.10,9 წამში გაცურა და მე-4 ადგილი დაიკავა. წინასწარ გაცურვაში მან უკეთესი დრო—1.10,1 აჩვენა.

10 აგვისტოს ბრწყინვალე შედეგს მიაღწია თბილისელმა მოსწავლემ ბორის ნიკიტინმა. მან 400 მეტრი თავისუფალი სტილით პირველმა დაფარა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

* * *

წყალში ხტომაში საქართველოს წარმომადგენლებმა საერთო მეხუთე ადგილი დაიკავეს, ხოლო ახალგაზრდა პოლულიახი მე-7 ადგილზე გამოვიდა.

## მოულოდნელი შედეგი

თხუთმეტამდე საფარიკაო ბილიკზე მიმდინარეობდა ხელჩართული ბრძოლა. უკვე დამთავრდა გათამაშება რაპირით ფარიკაობაში. საქართველოს გუნდი მე-6 ადგილზე გამოვიდა. პირველი ადგილი უკრაინელებს დარჩათ.

საინტერესო ამბავი მოხდა დაშნით მებრძოლთა პირველობაში. ფინალში გავიდნენ მოსკოვის, რსფსრ-ს, ბელორუსიისა და საქართველოს გუნდები. ბელორუსელმა სპორტსმენებმა წარმატებით დაამარცხეს ფინალის ყველა მონაწილე და პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვეს. საქართველო მეოთხე ადგილზეა.

## ამინდმა შეაფერხა შეჯიბრება

კარგად დაიწყეს შეჯიბრება საქართველოს მსტენდურეებმა. მაგრამ ცუდმა ამინდმა მნიშვნელოვნად შეაფერხა შეჯიბრება. ერთ ხანს სროლა ძლიერ ქარშიც ტარდებოდა. შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრების შეწყვეტა დაადგინა. ადგილიდან წყვილ სამიზნეებზე სროლაში ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აქვს საქართველოს წარმომადგენელს ბ. ანტონოვს. პირველი სერიის 25 სამიზნიდან მან 22 დააზიანა. ზ. მაჩხანელმა — 19.

* * *

გრძელდება ველოსიპედისტთა შეჯიბრება ტრეკზე. სალიდერო რბოლაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა გოცირიძემ (ლიდერი სპორტის ოსტატი ა. გუნია) მაღალი შედეგი აჩვენა წინასწარ შეჯიბრებაში, გავიდა ფინალში და მეხუთე ადგილი დაიკავა. კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა შეჯიბრება აგრეთვე ახალგაზრდა მხარემა სპრინტერმა ჯ. ზანდუკელმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ბევრი გამოცდილი ოსტატი და მეექვსე გავიდა.

## ნახევარფინალში

8 აგვისტოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა სპარტაკიადის მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში სომხეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

სომხეთის ფეხბურთელებმა თამაში დაიწყეს დიდი აღმავლობით. ისინი ძალების სრული დაძაბვით, მაქსიმალური ენერგიით თამაშობდნენ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ. თავის მხრივ საქართველოს გუნდი დასაწყისიდანვე არ შეეცადა ინიციატივის ხელში აღებას და საშუალება მისცა მოპირდაპირეს იერიშზე გადასულიყო.

მე-15 წუთზე დაცვაში დაშვებული შეცდომის შედეგად სომხეთის გუნდის მარცხენა გარემარბმა აბრამიანმა გახსნა ანგარიში. 22-ე წუთზე საქართველოს ნაკრების მხარეს დანიშნულ იქნა საჯარიმო დარტყმა დახლოებით 20 მეტრიდან. მცველი პალადიანის მიერ დარტყმული ბურთის აღება ვერ შეძლო პირაევმა და ანგარიში გახდა 2:0.

დარჩენილ დროს შედეგი არ შეუცვლია. შესვენების შემდეგ, უკვე მე-3 წუთზე, ძიაპშიპა შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მიაწოდა ბურთი ლოლობერიძეს, რომელმაც იგი ნელა და ზუსტად გაგზავნა კარში — 1:2.

ქართველი ფეხბურთელები სულ უფროდაუფრო აძლიერებდნენ შეტევას, მაგრამ სომხეთის გუნდი დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით იცავდა კარს. 22-ე წუთზე ზაზროშვილი იამანიძის ნაცვლად გამოვიდა მინდორზე და მალე გაათანაბრა კიდეც ანგარიში — 2:2.

ინიციატივა სულ უფროდაუფრო გადადიოდა საქართველოს გუნდის მხარეს, იერიშებში ხშირად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები, რამდენიმე კარგი კომბინაცია წამოიწყო ზაზროშვილმა, რომლის კარგი გადაცემიდან ჰკუასელმა უძლიერესი დარტყმით თავისი გუნდი წინ გაიყვანა — 3:2.

სომხეთის ფეხბურთელები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეეტანათ გარდატეხა თამაშში, მაგრამ საქართველოს გუნდმა კარგად გაითვალისწინა პირველი ტაიმის შეცდომები და თამაშობდა აქტიურად, ყურადღებით, მაღალ ტემპში.

მატჩის დამთავრებამდე სომხეთის ნაკრების კარში გატანილ იქნა კიდევ ერთი გოლი — თავდამსხმელებმა კარიდან გამოიტყუეს მეკარე და გოგნიძემ მას თავზე გადაუგდო ბურთი. ამრიგად, საქართველოსა და სომხეთის ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა პირველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

ამჟამად გამორკვეულია სპარტაკიადის ნახევარფინალში მონაწილე გუნდები. დღეს ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თამაშობენ უკრაინისა და საქართველოს გუნდები. ხვალ ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადისა და მოსკოვის ფეხბურთელები.

* * *

უკრაინისა და საქართველოს ნახევარფინალური მატჩის წინ შედგება ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლების საკავშირო ტურნირის გადამწყვეტი მატჩი. პირველი ადგილის გამოსარკვევად თამაშობენ კიევისა და თბილისის სკოლების გუნდები.

**სპარტაკიადაში მონაწილე გუნდების მდგომარეობა 11 აგვისტოსათვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| I | მოსკოვი | — 357 | ქ. |
| II | რსფსრ | — 341,5 | ქ. |
| III | უკრაინა | — 312 | ქ. |
| IV | ლენინგრადი | — 311 | ქ. |
| V | საქართველო | — 252 | ქ. |
| VI | ესტონეთი | — 195 | ქ. |



სურათზე: საქართველოსა და მოსკოვის სპორტსმენთა ჯგუფი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

### სპორტულ საზოგადოებებში

## „ბურევესტნიკი"

კიშინიოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა „ბურევესტნიკის" საკავშირო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, ბელორუსიის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ ოსეთის 114 მოჭიდავე.

შეჯიბრება ჩინებულად ჩაატარეს ჩვენი რესპუბლიკის ნორჩმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში დაიკავეს პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა უკრაინის, მესამეზე — მოსკოვის გუნდი.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ზ. შეკრილაძემ, ვ. რუხაშვილმა, ნ. თავბერიძემ, ს. გვიმრაძემ, დ. კაკუშაძემ, რომლებმაც წაუგებლად ჩაატარეს ყველა შეხვედრა. რ. ხითარიშვილმა დაიკავა მეორე ადგილი, ნ. გიორგობიანმა — მესამე. გუნდს წვრთნიდა სპორტის ოსტატი ვ. ილურიძე.

„ბურევესტნიკის" ნორჩმა მოჭიდავეებმა დეპეშა გაუგზავნეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს.

ზ. ხოშტარია

* * *

21-28 ივლისამდე კუიბიშევში ჩატარდა პირად-გუნდური პირველობა მოზარდთა შორის ფარიკაობაში.

საქართველოს მოზარდებმა შესანიშნავი შედეგებით დაამთავრეს ეს შეჯიბრება. ფარიკაობის 6 სახეობიდან 4-ში გაიმარჯვეს და გუნდური პირველი ადგილიც მოიპოვეს (მწვრთნელი ს. საყვარელიძე), მეორე ადგილზეა მოსკოვის ნაკრები, მესამეზე —ლენინგრადის მოფარიკავეთა კოლექტივი.

ესპადრონით ფარიკაობაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა დაიკავეს პირველი სამი საპრიზო ადგილი, ესენი არიან ქუთაისელი სპორტსმენები დ. მოსიძე და დ. შენგელაძე და თბილისელი დ. კანკია. უმცროსი ასაკის გოგონათა შორის ბათუმელმა ლ. მეტრეველმა მაღალ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა და მოიპოვა პირველობა. ვაჟთა შორის რაპირაში პირველი ადგილები როგორც უმცროს ასაკში, ისე უფროს ასაკობრივ ჯგუფში დაიკავეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წევრებმა გ. ხიტიშვილმა და თ. ცქიტიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაზე მოზარდთა შორის, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებში ჩატარდება, „ბურევესტნიკის" ღირსებას დაიცავს საქართველოს 13 სპორტსმენი.

უ. ჟოჟუა

## „შრომითი რეზერვები"

ამას წინათ რიგაში დაიწყო „შრომითი რეზერვების" მეორე საკავშირო სპარტაკიადა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ტანვარჯიშში, თავისუფალ ჭიდაობასა და ცურვაში დაიკავეს გუნდური მესამე საპრიზო ადგილები. საინტერესოდ მიმდინარეობდა ფეხბურთელთა ასპარეზობა. გუნდები წინასწარ დაყოფილი იყვნენ ქვეჯგუფებად. საქართველოს გუნდი, რომელიც რიგის ზონაში მეორე ადგილზე გამოვიდა, შეჯიბრების დებულების მიხედვით დაშვებულ იქნა ფინალურ შეხვედრებში.

ბრძოლა პირველი ადგილისათვის ძირითადში მიმდინარეობდა აზერბაიჯანის, მოსკოვის ოლქის, კრასნოიარსკისა და საქართველოს კოლექტივებს შორის. ჩვენი ნაკრების წევრებმა ძლიერად ჩაატარეს უკანასკნელი შეხვედრები. ისინი გამარჯვებულები გამოვიდნენ მოსკოვის ოლქის გუნდთან ანგარიშით 4:1, კრასნოიარსკის — 2:0. ფინალურ შეხვედრაში მათ დაამარცხეს აზერბაიჯანის გუნდი — 2:1 და სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს.

უ. ჟანჟალეიშვილი

### საქართველოს პირველობა ფეხბურთში

## კალენდარული მატჩები

8 აგვისტოს ჩატარდა ფეხბურთში საქართველოს პირველობის მორიგი მატჩები პირველ ჯგუფში.

ქობულეთის „კოლმეურნეს" თავის მინდორზე მიიღო ფოთის „ბურევესტნიკი". მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის თავდამსხმელებს ანგარიშის გახსნის მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ, ბურთი არც ერთ კარში არ გასულა — 0:0.

სტალინირში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და ქუთაისის „დინამო". დინამოელებმა ვერ შეძლეს თავისი უპირატესობის გამოყენება და მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდისა და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრაში გაიმარჯვეს ტრამვაელებმა, რომლებმაც ერთადერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში.

კარგად ჩაატარა მატჩი გორის „დინამომ" ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოს" წინააღმდეგ. გორელებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 3:1.

**ცხრილი**

**პირველი ჯგუფი**

მდგომარეობა 12 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ." თბ. | 15 | 12 | 1 | 2 | 37:9 | 25 |
| „დინამო" ქუთ. | 15 | 9 | 5 | 1 | 36:16 | 23 |
| ტტს-ი თბ. | 16 | 8 | 5 | 3 | 50:13 | 21 |
| „დინამო" ბათ. | 16 | 8 | 7 | 1 | 34:15 | 21 |
| „კოლმ." მახ. | 15 | 7 | 4 | 4 | 34:25 | 18 |
| „ბურევ." ფოთი | 15 | 6 | 4 | 6 | 18:18 | 16 |
| „დინამო" სოხ. | 13 | 6 | 3 | 3 | 25:20 | 15 |
| „დინამო" გორი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:13 | 14 |
| 26 კომ. რ-ნი თბ. | 15 | 6 | 2 | 7 | 18:32 | 14 |
| „ტორპედო" ქუთ. | 16 | 5 | 4 | 7 | 29:38 | 14 |
| „კოლმ." ქობ. | 15 | 4 | 5 | 6 | 17:24 | 13 |
| „მეტალ." რუსთ. | 15 | 4 | 4 | 7 | 15:27 | 12 |
| ახ. ფეხ. სკ. თბ. | 11 | 2 | 3 | 6 | 11:15 | 7 |
| „დინამო" I თბ. | 12 | 2 | 3 | 7 | 15:26 | 7 |
| „სპარტაკი" სტ. | 15 | 2 | 3 | 10 | 14:39 | 7 |

## მეორედ მოიპოვეს

ოდესაში ადგილობრივ გაზეთ „მორიაკის" თასზე ყოველწლიურად ტარდება შავიზღვისპირა ნავსადგურებისა და გემების ფიზკულტურული კოლექტივების ტრადიციული შეჯიბრება ნიჩბოსნობაში. წლევანდელ გათამაშებაში 10 გუნდი მონაწილეობდა. თავიდანვე კარგი შედეგებით აღინიშნა ფოთელ სპორტსმენთა გამოსვლები, რომლებმაც მრავალ სახეობაში დაიკავეს პირველი ადგილები. განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მიაღწიეს გ. პედიამ, ფ. პერეცმა, ნ. ბადანოვმა, ნ. შუპეტკოვმა და ა. იგნატიევმა.

შეჯიბრების საერთო შედეგების შეჯამების შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვებულად ცნო ფოთის ნიჩბოსანთა კოლექტივი და მეორედ გადასცა გარდამავალი თასი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ოდესელი სპორტსმენები.

მ. ჯოლია

# შეჯიბრება შვიდ დღეს გაგრძელდა

ტუშინოს აეროდრომზე შვიდ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა მსოფლიო პირველობაზე საპარაშუტო სპორტში. ამინდი არ წყალობდა ჩემპიონატის მონაწილეებს.

საპარაშუტო მრავალჭიდის საინტერესო სახეობაა 2.000 მეტრიდან ხტომა, რომლის დროს სპორტსმენმა უნდა გააკეთოს ორი მარყუჟი და 30 წამის განმავლობაში მოახდინოს ვარდნა პარაშუტის გაუშლელად.

ვარჯიში საუკეთესოდ შეასრულეს საბჭოთა სპორტსმენებმა ვ. რაკოვმა, ნ. ნიკიტინმა, ვ. სელივერსტოვმა და ფრანგმა მ. პრემამ, რომლებმაც ხტომის მაღალი კლასი გამოავლინეს და თვითეულმა 500 შესაძლებლიდან 498 ქულა მოაგროვა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ჩეხოსლოვაკელებმა მოიპოვეს მეორე ადგილი.

1.000 მეტრიდან ზუსტ დაშვებაზე ჯგუფური ხტომის დროს ქროდა ძლიერი ქარი, რომელიც ყოველ წამში ცვლიდა მიმართულებას. ამის მიუხედავად ხტომები დაიწყეს ვაჟთა გუნდებმა. ვარჯიში ყველაზე უკეთ შეასრულეს ჩეხოსლოვაკელებმა, რამაც ჩემპიონატის ბედი საპარაშუტო მრავალჭიდში მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. საბჭოთა სპორტსმენები იძულებული შეიქნენ მეორე ადგილით დაკმაყოფილებულიყვნენ. მესამე ადგილი წილად ხვდათ ბულგარელებს. პირად ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა გ. კოუბეკმა (ჩეხოსლოვაკია).

ქალთა შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები. ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის გუნდები გამოვიდნენ მეორე და მესამე ადგილებზე. პირად ჩათვლაში მსოფლიოში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა ჩეხოსლოვაკელმა ი. მაკსოვამ.

ჩემპიონატში მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ აქტივშია ოქროს—5, ვერცხლის — 6 და ბრინჯაოს 3 მედალი. ჩეხოსლოვაკელ პარაშუტისტებს წილად ხვდათ ოქროს — 5, ვერცხლის — 2 და ბრინჯაოს 3 მედალი. ბულგარელებმა მოიპოვეს შვიდი მედალი (2 ოქროსი, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოსი), პოლონელებმა მოიპოვეს ბრინჯაოს 3 მედალი, ფრანგებმა — ოქროსა და ვერცხლის თითო მედალი, იუგოსლაველებმა—ბრინჯაოს ერთი მედალი.



• • •

ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა, იუგოსლაველი და პოლონელი სპორტსმენები საუბრობენ შესვენებაზე.

ფოტო ა. სტუჟინისა.

# პ რ ე ტ ე ნ დ ე ნ ტ ე ბ ი

**როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 22 აგვისტოს, მოსკოვში დაიწყება მატჩ-ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელზე. რედაქცია მკითხველთა მოთხოვნით ბეჭდავს მატჩ-ტურნირის მონაწილეთა სპორტულ ბიოგრაფიებს.**

## ელიზავეტა ბიკოვა



მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ელიზავეტა ბიკოვა დაიბადა 1913 წელს. ჭადრაკის თამაში მან 12 წლის ასაკში ისწავლა, როდესაც საცხოვრებლად მოსკოვში გადმოვიდა. დედაქალაქის მოჭადრაკეებს იგი პირველად მხოლოდ 1935 წელს შეხვდა, როდესაც „მოსკოვის მცირე ჩემპიონატში" ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი დაიკავა. ამ წარუმატებლობამ მომავალ ჩემპიონს ცხადად დაანახა, რომ საჭიროა საჭადრაკო თეორიის შესწავლა და იგი გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას.

მალე ე. ბიკოვა აღწევს წარმატებებს. 1936 წელს მან III თანრიგი მოიპოვა. 1937 წელს — II თანრიგი, ხოლო 1944 წელს — I თანრიგი. 1938-39 წლებში ე. ბიკოვა მოსკოვის ჩემპიონია. ამის შემდგომ წლებში კი მისი მიღწევათა სია ახალი გამარჯვებებით ივსება. 1945-46 წლებში ე. ბიკოვა მოსკოვის ჩემპიონია, ხოლო 1947, 1948 და 1950 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

1950 წელს ე. ბიკოვა მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატში III-IV ადგილს იყოფს. 1952 წელს მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირზე კი I ადგილს იკავებს და 1953 წელს ლ. რუდენკოსთან მატჩში გამარჯვებით მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

## ლიუდმილა რუდენკო



მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ლიუდმილა რუდენკო (დაიბადა 1904 წელს ქ. ლუბლში). 10 წლისა იყო, როდესაც მამისაგან ჭადრაკის თამაში ისწავლა. მაგრამ მხოლოდ მოსკოვში ჩამოსვლის (1925 წ.) შემდეგ ლ. რუდენკო აქტიურად ჩაება საჭადრაკო ცხოვრებაში. 1927 წელს მომავალ მსოფლიო ჩემპიონს III თანრიგი აქვს, შემდეგ წელს II თანრიგი მოიპოვა. 1928 წელს რუდენკომ მოსკოვის ჩემპიონატში ყველა 12 პარტია მოიგო და დედაქალაქის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. 1932 წლიდან იგი ლენინგრადის უძლიერესი მოჭადრაკეა, ხოლო 1936 წლიდან წარმატებით გამოდის საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ოთხ ჩემპიონატში ლ. რუდენკო რეგულარულად II ადგილს იკავებს და მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვების შემდეგ, 1952 წელს თბილისში მან პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია რუდენკომ 1950 წლის ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში. იგი პირველი საბჭოთა მოჭადრაკე ქალია, რომელმაც მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. საჭადრაკო ფედერაციის დადგენილებით მას ამ მიღწევისათვის საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა.

## ოლღა რუბცოვა



საერთაშორისო ოსტატ ოლღა რუბცოვას (დაიბადა 1909 წელს, მოსკოვში) სახელი უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირში ქალთა საჭადრაკო მოძრაობის დასაწყისთან. საბჭოთა ქვეყნის I ჩემპიონატში მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. შემდეგაც შესანიშნავად თამაშობდა საკავშირო პირველობებში. იგი საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონია.

რუბცოვა წარმატებით მონაწილეობდა ვაჟთა შეჯიბრებებშიც. მაგალითად, 1944 წელს მან მოიპოვა საბჭოთა კავშირის XIV ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება.

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში რუბცოვა დიდხანს ლიდერობდა ტურნირს და მხოლოდ დასკვნით ტურებში დაუთმო რუდენკოს პირველი ადგილი, თვითონ II ადგილზე გავიდა. ამ მიღწევისათვის მან სპორტის ოსტატის სახელი მიიღო, ხოლო საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესმა მას საერთაშორისო ოსტატის სახელი მიანიჭა.

1955 წელს მოსკოვში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტთა ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის, ბულგარეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი მოჭადრაკე ქალები, ო. რუბცოვამ დაიკავა I ადგილი, რითაც უფლება მოიპოვა ე. ბიკოვას, ლ. რუდენკოსთან ერთად შეეცილოს მსოფლიო ჩემპიონის საპატიო სახელში.

## რესპუბლიკის ქალაქებში

### ქუთაისი

მოეწყო მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ცენტრალურ მოედნებზე მიმდინარეობდა შეხვედრები საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადის პროგრამით. ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრება ძალოსნობაში. საშუალო წონაში ვ. ყუბანეიშვილმა დაამყარა ქალაქის ახალი რეკორდი. „დინამოს" სტადიონზე გაიმართა „დინამოს" საქალაქო საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. ლითოპონის ქარხნის საცურაო აუზში ფიზკულტურელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვასა და წყალში ხტომაში.

ქალაქის ტირში გამართულ მსროლელთა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 30 სპორტსმენმა. მეორე თანრიგის შედეგი აჩვენა ოთხმა მონაწილემ, მესამე თანრიგისა — 9.

ა. სირაძე

### რუსთავი

„მეტალურგის" სტადიონზე გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები, სპორტული დღესასწაული. მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე გამოვიდნენ ფეხბურთელები, ფრენბურთელები, ჩოგბურთელები, მოჭიდავეები, მძლეოსნები.

რუსთაველ სპორტსმენებს სტუმრად ეწვივნენ თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის სპორტსმენები.

ფეხბურთში „მშენებელმა" დაამარცხა „ქიმიკოსი" (5:0), ხოლო „ბურევესტნიკმა" — მაუდ-კამვოლის ფაბრიკა (4:1). მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და ჭადრაკში გაიმარჯვეს „მეტალურგის" წარმომადგენლებმა.

კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო კინოთეატრში ნაჩვენებ იქნა სპორტული კინოფილმი „სათადარიგო მოთამაშე".

გ. ბუიშვილი

## უნგრელები დამარცხდნენ საკუთარ სტადიონზე

უკანასკნელი წლის განმავლობაში უნგრეთის ნაკრებს არ განუცდია დამარცხება საკუთარ მოედანზე. მაგრამ მიმდინარე სეზონში მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების 25-ე მატჩის შედეგმა განცვიფრებაში მოიყვანა მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა. ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა ძლიეს მოწინააღმდეგეს ანგარიშით 4:2. ეს შედეგი არაა შემთხვევითი. უნგრეთის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან შეხვედრამდე წააგო თურქეთთან და ფრედ ითამაშა იუგოსლავიასთან.

90 ათასი ბუდაპეშტელი გულშემატკივარი, კოკისპირული წვიმის მიუხედავად არ თმობდა ტრიბუნებს, იძულებული იყო ერთხმად ეღიარებინათ ჩეხოსლოვაკელ ფეხბურთელთა მაღალი კლასი. ჩეხები მატჩის დაწყებიდან მსაჯის საფინალო სასტვენამდე შეუნელებლად უტევდნენ მასპინძელთა კარს და პირველ წარმატებათა მიუხედავად არ ანელებდნენ ტემპს.

ამ მატჩმა უნგრელებს საბოლოოდ დაანახა, რომ მათ ნაკრებში ყველაფერი რიგზე როდია. გუნდის ძველი წევრების ერთი ნაწილი, რომლებსაც მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ — ასაკს გადაცილდნენ, სხვებმა კი დაჰკარგეს სპორტული ფორმა. ახალგაზრდებს შორის ჯერ არ გამოჩენილან ისეთი ტალანტები, რომლებსაც შეეძლებათ ძველი თაობის შეცვლა.

ზემოაღნიშნულ მატჩში უნგრეთის ნაკრებში არ თამაშობდა პუშკაში, რომელიც დისციპლინის დარღვევისათვის ორი კვირით დისკვალიფიცირებულ იქნა. ბუზანსკი და ლანტოში—გუნდის შეუდრეკელი დაცვა ტრავმის გამო არ დაუშვეს შეხვედრაზე, ცენტრალური მცველი კარპატი გადაყვანილი იქნა მარჯვენა მცველად, ნახევარმცველი სოიკა — ცენტრალურ მცველად. მათი ადგილები კი, შედარებით გამოუცდელებმა დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ უნგრელ და ჩეხოსლოვაკელ ფეხბურთელთა ოთხი შეხვედრიდან სამი ჩეხოსლოვაკელთა გამარჯვებით დამთავრდა.

## ჯო ლუისის კარიერა

როგორც საზღვარგარეთული პრესა იტყობინება მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა კრივში პროფესიონალთა შორის „შავმა ყუმბარმშენმა" ჯო ლუისმა ხელი მოაწერა წლიურ კონტრაქტზე თავისუფალ ამერიკულ ჭიდაობა „კეტჩში" გამოსვლისათვის. გაჭირვებამ აიძულა ეს ფენომენალური მოკრივე დაეწყო ახალი სპორტული კარიერა.

მსოფლიო პირველობათა მატჩების ორგანიზატორმა მაიკ ჯეკობსმა ჯო ლუისის გამოსვლებზე მოიგო 10 მილიონზე მეტი დოლარი, ხოლო თვით ჯოს ამ ციფრის მეათედიც არ მიუღია. ამას წინათ ჯო ლუისს წარუდგინეს სარჩელი 800 ათასი დოლარის გადახდის შესახებ.

განთქმული მოკრივე იძულებული იყო დათანხმებოდა „კეტჩში" გამოსვლას, რათა იქიდან დაეფარა ეს გადასახადი.

## შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა დ უ ნ ა ი ზ ე

საბჭოთა საბუქსირო ხომალდი „იაკუტსკი" ექვსი დატვირთული ბარჟით ქვემოთ მოჰყვებოდა დუნაის. უეცრად მდინარეზე ქარიშხალი ამოვარდა. წყლის ზედაპირზე მთებივით წამოიმართნენ ტალღები, მხედველობა გაძნელდა, მაგრამ „იაკუტსკი" მაინც განაგრძობდა გზას.

როცა ქარიშხალი ჩადგა, საბჭოთა მეზღვაურმა ილიუშკინმა ბულგარეთის ნაპირთან შეამჩნია ადამიანები, რომლებიც წყალში იხრჩობოდნენ. ხომალდიდან სწრაფად ჩაუშვეს ნავი, მეზღვაური სპორტსმენები შილოვი, ირვანცევი და ნოვიკოვი გაჭირვებაში მყოფთა დასახმარებლად გაეშურნენ. მათ ნავზე ამოიყვანეს ოთხი კაცი. ისინი აღმოჩნდნენ ბულგარელი ნიჩბოსნები, რომლებიც დუნაიზე ვარჯიშობდნენ. საშინელმა ქარიშხალმა მათ ბაიდარები გადაუბრუნა და სპორტსმენთა ჯგუფი წყალში ჩაცვივდა.

„იაკუტსკიზე" ბულგარელი სპორტსმენებს სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს. მალე საბჭოთა ხომალდთან მოცურდა ბულგარეთის ბუქსირი „კიდრი" და სიკვდილს გადარჩენილი სპორტსმენები თავის გემბანზე გადაიყვანა.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგესა და გამომშვების — 8-88-26.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03700